1861/

## ჩანგურს.

(თ. ნიკოლოზ ბარათოვის ლექსებიდგან)

19.

შენნი მოთქმანი, კვნესის ხმანი,
ხანცა ოხვრანი, ხან-ცა ამოსკვნანი
წარსულთა დროთა მოგონებით სულს აღმიძვრებენ.

ჰოი ჩანგურო, ნეტავი ოდეს
ხმა მხიარული შენგან მესმოდეს,
რომ უკუმყროდეს მე სევდიანსა გულისა სენი!

მაგრამ სად გნახო შენი ღიმილი,
სიხარულითა გამოწვევილი.
მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ
ჩივილი...

1837 წელს.

## ჟუკოვსკიდამ.

მას უხაროდეს ვისაც ლხინი,
მაისის ვარდი, ხმა იადონის,
და ეშხი დღეთა ჩუენთა მაშუენი,
ვითარცა უწინ არც იამების.—

იმედსა ჯერ ვინც არ უცდენიეს;
ვინცა სიხარულის დასცქერის თუალნ;
ვის გული ცრუფობით არ დასცვენობიეს,
და ოხვრა, კვნესა, მას არა სცნობენ.—

ვითა პეპელა ყვავილთ დაჰფრინავს,
მხიარული მარად დაუდგრომელი,
ივიწყებს ის, რომ ზამბახს ჰყნოსავს,
და სხვას სიტკბოსა, ტყვედ წამსა ქმნილი!—

.... ეგრეთ ნეტარ მას, გულისა ჭმუნვა,
დავიწყებითა ვინც განიქარვა,
ვინც ოხრავს დღესა, იცინის ხვალე,
და მირბის ესრეთა მისი სიცოცხლე!—

მაგრამ ვაი მას, ვისაც ლხინი,
მაისის ვარდი, ხმა იადონის,

აჰა, ეს ხმა სალამურო
ტკბილ-ხმოვანო საამურო,
აროდეს არ მომყირჭდება.—
მალ-გიძს მუდამ მომაწყურო!
ქართულად ჰკვნეს, ქართულად ჰსტკენ,
ქართველის გულსა ამით ულხენ,
ხასიათს და ჩვეულებას
წინაპართა გვიჩვენებ ჩვენ.
მაგრამ ჩემო სალამურო,
გრძნობით მსტკვენო საამურო!
დღეს შენ ყურს არავინ გიგდებს!
სჯობს, ისევ მწყემსს ემსახურო!!...

თ. აკ. წერეთელი.

---

თავადის გრიგოლ დიმიტრის ძის ორბელიანისადმი.

გრძნობა აღმრულმან ხამს ჯერ იხილოს ღირს შესამკობლად,
რაჲამ მჭევრ მეტყველ ამუსიკოს ენა სათხრობლად,
ივერიელთა სასიქადულოს მფარველ და მშობლად,
გოლიათობით მტერთა მოურგვნელი სიმხნით შარჩობლად.

# ლექსები.

ორმთავებრ მსვლელობს მადლით განსხვავე-
ბული სქესით,
გლისე ჰფარავს მართლ და ჰსცვს მას საღმრთოჲს
წესით,
ანდამანცებრივ მიუზიდავს მას სიბრძნე ზესით,
ოვსანად ხმა გვქონთ ცით მოვლენილად ნუგე-
შად მესით.

არსთა მაარსმან რა ალვაყვავა ბედნიერებით,
არა საოცარ არს თქუენდა ეს ნიჭი გვარ მთა-
მოებით,
ვარნა აწ თქუენცა ამრჩობილე იგი აწმყოს
დროებით,
და განაბრწყინვე სახლი ორბელთა ნიჭთა მთოებით.

უფროს წინაპართ სარისხთ საყდარს ზედა
მჯდომარე,
დიდის როსსიის მპყრობელის მეინახეთ მდგომარე,
მომცოლველთ მიმართ მილებით სიცხოვების
მწთოლვარე,
საღმრთოჲს მადლით სრული და ქველის საქმის
მხსომარე.

შვენის შემკობა სახიობითა ყოვლისა ქებით,

ვით მამულის შჳლს და განათლებულს ყოვლისა თნებით,
ვინ საცნაურ არს ყოვლის ღირსებით და შემეც-ნებით,
მისგან ხამს მკობა ვინ იყოს სრული მეცნიერებით.

გახსოვს დრო იგი, როს ერთხამ გვქონდა რება, სწავლანი,
ტკბილის საუბრის ურთიერთისადმი სიტყვს გვლანი,
მის მახსოვარსა აწ თქვენ მზირალსა არ ხამს მალვანი,
მუნით აწადმდე მორით ცრფიალსა მქონდა კრძალვანი.

ზრახვა ვჰყავ გულით წარსულის ჟამის წარ-მოდგინება,
არსება კნინის უფსკრულს მისწყვნილს ჰყოს აღ-გინება,
ამ სასოებით სიმწყვდიადესში მქონდა თმინება,
ლავრად მიხმს ყოფა მხცოვნად მისწყვნილს მუნ დადგინება.

ზაალ ზაალოვი.

## იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინა.

---

რა ვარსკვლავო რა ვარსკვლავზედ ჩუენ და-
ვებადეთ,
ჟედამ ღმრთისამ მოწყალებით ჩუენ გადმოვე-
ხედეთ,
ვაჟი მოგვცა მით გვიწვმა ცუდან მანანათ,
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინათ!

ანგელოზთა გუნდიდგანა ეს ვინ გვეწვიო,
რა წალკოტის ყვავილისარ ჩუმო აწვიათ,
ტურფავ, ტკბილო, სიცოცხლე შენ მაგისთანათ,
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინათ!

ახე დედის ლოცვონ მშვენიერო ყრმათ,
მამის სასოებავ, ვავონე შენი ტკბილი ხმათ,
ან უბრიალოდ ნუ იწუხრებ ვარდის ნანათ,
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინათ!

ზღვისაკ გეხვეწე დაეცემა შენს წინაშესა,
რომ თვითეულს ჩვ გემსახვრებს შენი შენს მცველსათ,
მაგისვე შენი სიცოცხლეს უნდა სულ უშენათ,
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინათ!

გაიზრდები და მოითხოვ თოფსა და ხმალსაო,
მტერს უჩუენებ ვაჟკაცობას და შენსა ძალსაო,
ყველაც იცის დახე გმირსა მტერს შეანიაო,
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

რომ მოემზადო საომრად გახსოვდეს დედაო,
სახელი ღმრთისა ახსენე მიდი მტერზედაო,
გებრალებოდეს თუ მტერი მიწას დაასცემაო,
დაიძინე ჩემო კარგო, იავ-ნანინაო.

გახსოვდეს ღმერთი, გინდოდეს მისი დიდებაო,
ჰპატივსა სცემდე, გიყვარდეს შენი დედმამაო;
არ დაივიწყო ესენი, ასე არა ჰქმნაო, —
შვილო, ტკბილო დაიძინე, — იავ-ნანინაო!

თ. რაფიელ ერის-თავი.

---

* * *

მსურს ვაგრძნობინო განემზადოს ამა კალამსა,
შენი მშვენება გამოსახოს ყოველს ალაგსა;
სახეს უმზადოს შვენის ქება თვალს ყუყუნსა!
აყრილსა წარბსა, კუპრულ თმასა გადმოფენილსა!

ცვარი სიწყლილით არალია_სპინოზის დარი, (1)
ნორჩ აყვავებით, სურნელებით ვით აცედარი, (2)
ვარსკვლავი ცისა გამოკრთომით შკდ ცთომილთ
დარი,
რას მიგამსგავსო მჯობო ყოვლის რაც ქმნე-
ნად არი?

ეგ მიმოხედვა უმანკოსა დიდათ გშვენდება,
ტკბილ საუბარი ბაგეთაგან თითქოსა სწუწთდება,
მნახველსა შენსა გულსა სევდა წარეხოცება,
სანაცვლელია ვინც კუთხევით შენ შეერთდება.

მოხედვა შენი მშობელთაცა რაგვარ ახარებს,
ამად კეთილთა ნაყოფთაგან ხე საცნაურებს,
სიმშვდე იგი ზეციური თავს დაგცვრიალებს,
ოქროს ვარავნსა მოვანიჭებს, რომელი არსებს.

არ მალმიძს სრულად მე შეგამკო მცირედო
სულისა,
ბრძენი შეკრთება, ჩაფიქრდება ნიმდვლ წყაროთა,
შენს შემომქმედსა ხელი შეჰკრია აქ ბოროკილითა,
ვფუცავ მშვენიერს ზეცისა მაღლს წრფელის გუ-
ლითა!...

კნ. ბარბარე ჯორჯაძისა.

(1) სახელი ყვავილისა (2) სახელი ყვავილისა.

# ლ ე ქ ს ე ბ ი.

## კნეინა ბარბარე ჯორჯაძისას.

---

ივერიელთ ქალთა შორის აღმოჩნდი მწერლად,
რომლით ღირსი ხარ ტკბილსა სიმზედ გვეყვან-
დეთ სამღერლად;
მადლობის გმღვნიდეთ შრომისათჳს, როგორც
მეშრომეს
ქართველთ ენისთჳს და ცისკრის დამამშვენებელს.
გუწყით: მრავალნი ნიჭით სავსე ქალნი მეფობენ,
ვარნა კრძალვითა უაზრობით სრულად მკრთალობენ;
შენოდენ მათში აღმობრწყინდი წმინდად მგრძ-
ნობელად:
კალმით ნაღვაწით ყურთა ჩუენთა დამატკბობელად.
კვალად ამას ვთხოვთ შენს ბუნებითს ნიჭთა სიმ-
დიდრეს
მოჰფენდე ცისკარს და იგ ქართველთ გულსა
ატკბობდეს;
მაშინ იქნები აღურაცხელ მყოფი საქებლად,
და შემოგწირავს მადლობისა დაუცხრომებლად.
კახი შენის კალმის მნახი, «მრავალჟამიერს»
შენს სიცოცხლისას გიგალობებს ხოფელს ამიერს;

## ლექსები.

მასთან ჯილდოთ შენ მოგეცემის კურთხევა ზე-
ნარის,
რა რომ იქნები თანა-შემწე ჩუენისა მხარის!..

გიორგი ანდრონიკოვი.

6–ს იულისს.
1860 წელსა.

---

## უფალო რედაკტორო! (*)

მე როგორც მოგეხსენებათ, არა მაქუს ბედნიერება, გიწოდებოდე თქუენის ჟურნალის თანამშრომელად მაშასადამე, არც მოვალეობა უნდა მაწვავდეს, გაცნობით კორესპონდენტობის წესით საზოგადო ანუ კერძობითი კაცთის კეთილშობილთ ხმა, ამ ჟურნალის კარგს ანუ ცუდს მდგომარე-

(*) საზოგადოთ კაცთის კეთილშობილთ სრული იმედი აქუსთ, რო ამ საზოგადო ამბის სურვილს, დიდის მადლის თქუენის მეცადინეობით, დავბეჭდავთ უშეცნაკლულოდ. გინ თუის დროება რას მოიცავს; იქნება რო, ისინიც გამოგადგნენ რამიმე.—ავტორი.

(*) ამ სხოლიოთგან როგორც ჩანს, ავტორი ეჭვში ყოფილა, ვითომც არ დაგვებეჭდა ეს სტატია.—რამდენჯერმე გაგვიმეორებია და კიდევ ვიმეორებთ რომ თუნდა მე თვთან შემესწოდეს და რა სახითაც მოხსენებული უნდა ვუყვეთ დიდის სიხარულით დავბეჭდავთ, ოლონდაცა ჩუენის ლიტერატურის სასარგებლო და გასამართავი იყვეს. რედ.

ობაზედ, მაგრამ, რადგან მეც,, როგორათაც ერთი ივერიელთაგანი, ვგრძნობ ბუნებითის სმით მოვალეობას, ვიღვაწო დღე ყოველ მალისა და შემლებისამებრ ქართულის ლიტერატურის აღყვავებისა და კეთილ დღეობისათჳს, ამიტომ საჭიროდ ვხედავ, მოვასწევინო კეთილდროებითვე თქუენთან იმათს აზრს, შესახებ თქუენის ჟურნალისა.

თუ რაში შედგომარეობს იმათი აზრი, მოგახსენებთ ბოლოს, მხოლოდ მანამდე, უმორჩილესად ჰეთხოვთ, მიიღოთ შრომა და სუსტსა, მიკიბულ მოკიბულს ქვემორე აღწერილს განხილვას, რომელიც ჩემის ფიქრით მალიან არ უნდა აღმოჩნდეს საწინააღმდეგოდ რომელთამე მემამულე განათლებულთ პირთათჳს, მისჰცეთ მცირედი ადგილი თქუენსა ჟურნალში მომავალის თჳსათჳს. ესეც კი უნდა გითხრათ, რო ამითი უთუოთ დავალებთ იმ პირთ, რომელთ მონდობილებით და თხოვნითაც, მე ეხლა იმათ პატივსაცემლად, გამოვჰყავ თავი ლიტერატურის ასპარეზზედ, თუმცაკი კარგათ ვიცი, რო ასპარეზზედ მარტორქის გამოსტყუნება და შუბის ტრიალი, სრულებით ჩემი საქმე არ არი, რადგანაც მარტივი ლექსიც კი ასპარეზია, როცა კი ჩემს სამწუხაროდ ვიტყჳ ხოლმე, შიშით სულ სისხლის ოფლს მასხამს. რასა-

კჳრველია უფრო იმისთჳს, რო, ვაჲ თუ მოპირ-დაპირის ლისტს, ფარმა ვერ უდგნოს, მარცხორქის წელი მომიწყდეს და მეც, თქუჱნი ბანდაყული ერთის დაკვრით გადმოვარდე შებნედილი მირს და აიარებმა მომიცვაცონ; მაგრამ ქართული ანდაზაა: «ნუ შესვალ, ნუ ებანები, ნუ გამოსვალ, სთრთითო.» როცა იქნებოდა, სო მაინც ეს დღე უნდა დადგომოდა.

მაშ გვწყოთ: მგონია უფალო რედაკტორო საკმაო იყოს საბუთად თუ რომ ვსცყევთ, რო თითონ თქუჱნი განათლებული გული უდგას მთელს კახეთის კეთილშობილთ თავდებათ, თუ როგორი შეწყობა და მონაწილეობა მიიღეს იმათ ამა 1861 წლისათვის, განვრცელებაზედ ჯერეთ ისევ უსუსურის ქართულის ჟურნალისა, და მისგამო რასაკჳრველია რო, ქართულის ლიტერატურისაც მამასადამე, არ უნდა აისოვდეს კეთილ-ნაყოფები? რომ, როგორათაც ამ გვარ გულწრფელობით მოღვაწე სამშობლოენის აღდგინებისათჳს კეთილ-შობილთ საზოგადოება, ეგრეთვე წარჩინებულნი პატრონსანის ქცევით და სამსახურით წინაპარნი მა-თნი, იყვნენ დაცულ უშესაბამოს და მათდა არა კუთვნილ გედებისა და მორჩენისაგან, ნამეტნავად მაშინ, როდესაც წარმოვიდგენთ, თუ როგორის

სიყვარულით და სასოებით უცქერდნენ უკანასკნელნი საქართველოს მეფენი კახეთის კეთილშობილთა და სრულიად კახეთის ხალხთ, რადგანაც შეიძლება ვჰსთქუათ გაბედვით, რო სასოება მათი, მალიან მტკიცედ იყო დამყარებული მათზედ, სამეფოს კეთილდღეობისათვს.

ვინ არ იცის, რო მიზეზად ამ გვარის ყურადღებისა, იყო კახელების ლომშბერი მტერთან ბრძოლა, რომელნიც, გარდა საზოგადო მტრისა, იდგნენ მყარე კლდესავით პირისპირ კავკასიის სხუა და სხუა ხალხთანაც. ცხადია, რო უფრო ამისგან მოსდევდა ის, რო, თურმე რომელნიმე ევროპიის პირნი, კახეთს, ოდესმე ისწრობდენ საქართველოს სამეფოს ზღუდეთ, და მართალიაც, ვის შეუძლიან უარ ჰყოს, რო სხუაზე უფრო მომაცებით, კახელები არ იყვნენ წარსულს დროებში დღე და ღამ მოპირდაპირე კავკასიის მხრივ მტერთა, თუმცაკი სრულებით ვერ ვიცნევთ, და დიდი გმობაც იქნება ჩვენის მხრით, რო დროებითად იმ სხუათაც არ მიელოთ მონაწილეობა ერთად მათთან ომში.

არ ვიცი, მისვლით უ. რედაქტორო, თუ არა, რო მე ვლაპარაკობ თქუენ მიერ დაბეჭდილს წარსულს წლის მეთერთმეტე ნომერში უ. რჩეულოვის შრომაზედ, რომელზედაც კიდეც მიუგო მა-

ლიან ღირსეული პასუხი ამა წლის იანვრის ნომერში კნეინა ნინა ერისთავისაზ.

რასაკვირველია რომ, შემდეგ კნეინა ნინო ერისთავის პასუხისა, ჩემი თავის გამოდება ერთსა და იმავე საგანზედ, სრულებით მეტია, მაგრამ მოვითხოვ პატივცემულთ მკითხველთაგან ბოდიშს ამით, რომ ამ შემთხვევაში, როგორც ზევითაც მოგახსენეთ იმათი აზრი ნამდვილ დიპლომატიურის წესდებით უმეტნაკლულოდ.

აჲ, რას მოგახსენებენ: ყოველს საქართველოს შვილს აწევს მოვალეობა მოიხსენოს წინაპარნი თჳსნი ისე, როგორც ყოფილან, და არა უმეტორის ლექსით სიცრუისაგამო, ესეც კიდევ მაშინ, როდესაც მათი საფლავიდამ შემძრა, ითხოვდეს თჳთ აუცილებლივ დაოლკუვას ისტორიის, ანუ ისტორიულის სიცრუით მოთხრობისას, და რადგან უ-რედაქტორმა არ მისცა ამას და ჩვენის მეფის და ბატონიშვილის სიცრუით პატიოსნების ვნებაზედ შეიწყნარა უ. რჩეულოვის სტატია, იანუკა ბატონიშვილი ი და გამოქცეა უსსოლოთ (თავის მხრით) ქეწყენიდ ჩუჩნის თავისა მოსამძრეულად, ამისათჳს უმჯობესად ვჭრაცსთ, შევუხვდეთ ცისკარზედ ამლის მომწყოსავან, უკეთუ საკუთროთაც გამოცემა ამავე წესით, რომ შემდგომისათჳსაცარი არ

ვნახოთ მაში ჩუენთა მეფეთ, ბატონიშვილთ და სა-
ზოგადოდ წინაპართ სიცრუით შეურაცხყება.» (*)

აღვასრულე რა მონდობილება კასუთის ეთილ-შობილთ აზრის გამოცხადებით (შეკაცრიგათ, როცოცა წიწაკა მორეული), მოვითხოვ პატივცემულთ მკითხველთაგან ნება რთვას, დავსმინო ჩემი საკუთარი აზრიც, შესახებ უ. რჩეულოვის შრომისა.

უნდა გვსთქუათ სჯნიდისის ქვეშ, რო შრომა უ. რჩეულოვისა «ანუკა ბატონიშვილი» არ იქნებოდა სრულიად უსარგებლო ქართველთათვს, მხოლოდ მაშინ, უკეთუ უ. რჩეულოვი მიიღებს ცოტა ოდენ, ანუ იგეთსავე, როგორიც მიულია შრომას და მოქმედებას გადიცანს ვრემის ნაქალაქვიდამ, თავისსავე ადგილს იტალიაში, ეგრეთვე თუ მოქ-

(*) ამაზედ რედაქცია მოახსენებს პასუხად როგორც ამ სტატიის ავტორს, ისე პატივცემულთ კარელებს, რომ ზოგჯერ რედაქციაში იმ გვარი თხზულება მიიღება ხ...ლმე, რომელიც დაგვაფიქრებს, ასე, რომ თუ დავბეჭდეთ ზოგი ერთი მკითხველი დაგვემდურება და თუ არა, მოხსვე-ლის მცნობნი და ამხანაგნი, და ეს ორნი მოპარცაენიც, ერთის და მეორეც გვემდურებიან ცისკარზედ კელის მოწერას აღებაზედ, თვთქოს ეს ჟურნალი გამოდიოდეს მხოლოდ ჩემთვს და ჩემის სარგებლობისათვს. ახლა ვთხოვ, ამ უფალს ავტორს, ერთი იმ გვარი რჩევა მოსცეს რედაქციას, რომლის საშუალობით არცა ერთის მხრის დამდურება მოხდეს.

რედ.

მედ პირთაც: მეფის ალექსანდრეს და დასა მისსა ანუკას, უწყალობებს თვისსავე ბუნებით სახელწოდებას. მაშინ, ვიტყჳ განმეორებით, უსარგებლო არ იქნებოდა ჩუენთჳს და კიდეც გვმართებდა მადლობის გადახდა გაცნობისათჳს იტალიის მესანიშნველთ პირთ და ზნეობათა მათთა, მაგრამ ახლაკი, მე და ზოგი ერთი პატრიოტიზმული მკითხველიც, ძალიან შორს ვიდგეთ მადლობის მოხსენებაზედ, ამიტომ რომ, პატრიოტიზმულმა ავტორმა იკადნიერა და სხჳს მუნი გადმოიღო საქართველოს შვილებზედ.

ამართლებენ ზოგიერთნი უ. რჩეულოვს იმით, რომ ვითომც იტალიის მცხოვრებმა ორსინის, ოდესმე ემიგრანტობს კალთში და დაბრუნებისა შემდეგ დაეწეროს იტალიის ენაზედ ანუკა ბატონიშვილის მოთხრობა, რომელიც ენახოს რა უ. რჩეულოვს რუსულს ჟურნალში, მაშინვე სიტყვით სიტყვად გადმოეღოს სამშობლო ენაზედ ჩუენს სასარგებლოდ. მიმბაძეთ ახლა პატრიოტიზმულნო მკითხველნო, შეიძლება ვერწმუნეთ ამას და მივიღოთ საბუთად? არა! აჲ, რატომ? პირველად იმ მიზეზით, რომ ანუკა ბატონიშვილის რუსულიდამ ჩუენს ენაზედ გადმოღებას, თითონაც უ. რჩეულოვი არა კისრულობს, რომელიც გადმოგვცემს იმას თავის სა-

კუთარ პოეზიად და პროზად (ორიგინალად) სა-
ხელწოდებით: «ბატონიშვილი ანუკა. ისტორიული
მოთხრობა გ. რწეულოვისა.» უფრო ცუდი იმის-
თვს, თუ მართლა თარგმანია, რომ დიდების მო-
ყვარებით, სხვს პროზას და ლექსს, თავის პრო-
ზად უწოდებს, არც უნდა, რომ, პასუხის საგებლად
მაინც გაგვაცნოს ნამდვილი ავტორი და, მეორე,
რომ ის უფალი იტალიის პროზაიკი ორსინიც,
როგორათაც განათლებული ევროპიელი, იქამდინ
არა დროს არ შესცდებოდა, რომ ქართველ პართა-
თვს მიეცა თავის ქვეყნის ზნეობა, ისიც იმ
დროში, როდესაც ქართლს და კახეთში, სპარსთა
და ოსმალთ დევნულებისაგან ძალიან მტკიცედ სუ-
ფევდა ქრისტიანობის სარწმუნოება.

მაშ რა უნდა ვიფიქროთ უ. რწეულოვის
ღირს შესანიშნველ პროზაზედ? მკითხველნ მრავალ-
ნი. იქნება ის, მოწყალენო ქალმწერებო, რაც
მოგახსენეთ, ესე იგი: რომ უ. რწეულოვმა შეუბ-
რალებლივ და ცუდა ტყუილით გადმოიღო საწყალი
ფლორენციის მცხოვრებნი გრემის ქალაქში. აქ
რასაკვირველია, ხალხს რომ არ აეგზებინათ, მაშინა-
თვე დაჭრით ქართული ტანისამოსით, დახურა
ბუხრის ქუდები, შამაკრა გორდა ხმლები; მერე
დიდის მეცადინეობით უშოვა ქალებს ლეჩაქი და

თასკრაგი, და როცა სრულებით მორჩა, წინათ ვერ დამნაშაობით, შეგზავნა ისეთს გარყვნილების მორევში, (საწყლები, კინაღამ არ დაირჩვნენ,) რომელიც პირველ წაკითხვაშივე, ზიზღით და ელეკტიურის მალით, ფიცხლავ ხელ ჰკრავს თა-ვისგან ყოველს საქართველოს შვილს.

აბა მოდი და ნუ მაიბრალებთ საწყალ იტალია-ნელებს, მერე რა, ასე საჩქაროდ და მოულოდნე-ლად უ. რჩეულოვს ხელოვნებისაგან სხვას სახელ მეცვლილებას. ვინ იცის, იქნება რომ თაყვანი ჯადოს მეთილისმობა კიდევ იყოს სადმე დარჩე-ნილი და იმის შემწეობით მოქმედებდეს უ. რჩე-ულოვი?.. და ჩუჱნკი ასე ყურზედ გვეძინოს?... მაშ თუ არა და რას უნდა მივაწეროთ ესეთი მო-ულოდნელობა. მართალია მეველადკი იყო ამ გვა-რი მწერალი, მგონი ოვიდი, თუ ვიღაცა სხვა. ელლინი, (მომიტევეთ რომ სოფლიურმა ზრუნვამ ისე მომამლურა, რომ მესხიერებაც დავჰკარგე და მალ მოკლებული მლიქვლა დავფანფალებ ყავარჯე-ნით). მაგრამ აკი ანბობენ რომ, როგორც იმისი ქმნილება, აგრეთვე ბევრი სხვა გამოჩენილი მწერლებისაც დაიკარგაო, რომ ზოგი ერთს ამათ-განს ევროპამდინაც აღარ მოუსწევიაო. მაშ ეს რა ანბავია ჩუჱნს თავს?... აა!... ახლაკი მივხვდი.

უთუოთ უ. რჩეულოვს ყარამანიანის კითხვით იმცვენი მალი დაუცხადებია თავის მკითხველთათვს, რომ ბოლოს იყალი ჯადოს საიდუმლოებისათვს მიუგვნია, ჲ ეს უბედურება. ჩუცნკი, გვერგართ ისე ოსრად, რო არც ქსწავლის გადეებით ჲ არც ჩუცნს თავს. რავი აგე მოხდა, მეცი ლონე არ არის, ისევ უ. რჩეულოვს, როგორც ამისთანანაებში დაწინაურებულს კაცს, ერთსმობით უნდა ალუმართოთ მეგლი ზედ წარწერით: «საქართველოს მერძნობელთა მკლოთავან, დიდს მემამულე მწერალს ჲ მეთილისმეს!»

მინდოდა გამეთავებინა, მაგრამ სამწუხაროდ უ. რჩეულოვისა, ეს დაწყევლილი შინაეანი მმა ალარ მისვენებს. მეცი ჩარა არ არი, ისევ უნდა დავემორჩილო ჲ გიუბედო.

აჲ, რა მაუმლიან სოფელს, საწყალ დანთეს ასე მეონა, რო მარცხო ჩემზედ მოვიდა ლუთის რისხვაო, ჲ მემამულეთ ფლორენციდამ გამოდევნესო. ისკი არ იცოდა საცოდავმა, რო იმის მემამულეთ იმფერო უარესი დღე მოელოდათ. იმან კიდევ იმით მაინც ამოიყარა თავის მესისხლების ჯავრი რო ყველას შეუბრალებლივ ჩაუმასა თავის საღმთო კომედიაში, (Божественная камедія!) მაგრამ აბა ერთი მიბძანეთ, რაღა უნდა ჰქნან იმის მემა-

შულით, რომლებიც, ასე საცოდავათ შეემწყვდნენ ერემის ნაქალაქევში, რომელთაც, თუმცა მარლვებში იქვე ბუნებითი სისხლი უდგათ, მაგრამ უბედურება ეს არის, რო იმ საწყლებს ვერ უცვნიათ თავისი თავი, და პირ დალეწული, სან ცას შესცქერიან და სან დედამიწას. ღმერთი იწამეთ უ. ავტორო, და ეს საბრალონი იქვე თავის სასედ აქციეთ, სედამთ, თუ როგორ გამტვერებულნი და თვალ ცრემლიანნი დგანან!.. მართალია, თუ არ თქუჱნის სისხლის მოცხებით, ისინი თავის სასეზედ ვერ იქცევიან, მაგრამ როგორც იყოს ღჳთის გულისათჳს, მალა დაცვანეთ თქუჱნს გონიერებას და უშველეთ რამე, შელოცჳთ მაინც!...

მგონია უნდა იცნობდეთ ინდოეთის მკალ ყლაჰია ფრინველს, რომელსაც ინდოელები გუჯალას უძახიან და ანგლიჩანებიკი, სეკრეტარ-ადიუტანტს, ძეძევა სიარულისათჳს. ამ ფრინველისას მოგვსენებენ, რო მკალს ჭყლაპავსო, მაგრამ ისეთსკი არა, რო ყელში გაეჩაროს. დალოცვილო, იმათგან აიღეთ მაგალითი და საქმის დაწყობის დროს აქეიქით მიიხედეთ სოლომ.სუ გასწორ, გასწორ როგორ იქნება, გესმისთკი რო ჩემკენ, და ისკი არ იცის, თუ რომელ მეკლესიის ზარს. აქა და ბაქარ ქართლელი და უ. არდაზიანი ავიათრებულო

შემაულეთ თავისის უკვდავის თარგმანებით, განა ამ წესით და კანონებით იქცევიან, როგორც თქუენ. იმისი არ იყოს, რო ამას წინათაც ტფილისის თეატრიდამ გრიგალივით გავქანეთ პირდაპირ ბუკის სახლებში ვიღაცა, ხელოვნებითვე შეცვლილი ქართველად, პირნი, სადაც, ვითომც ლუნატიკობით, ქმარს ცოლი მოაწამლინეთ, და მერე თითონ ქმარსაც, მეორე ცოლის სიგრილით, მისსავე კაბინეთში დამბაჩა დეეცით. დალოცვილო, თუ თქუენი თავი და ხელები არ გებრალებათ, ჩუენი ყურები მაინც შეიბრალეთ. ისინი რა დამნაშავენი არიან, რო თქუენ მწერლების ღვრღვნი გინდოდესთ.

ერთი მიბძანეთ ჩუენო ახალო სარგითმოგველო, რას იფიქრებდით მაშინ, როდესაც ბაქარ ქართლელს და უ. არდაზიანს, რომეოს, ჯულის, ჰამლეტის და ოფელიასთვს დეერქმევინათ თქუენსავით ქართული სახელები და მაგალითებრ: მიხაკა და ტასიკო, იულონ ბატონიშვლი და სოფიო, და მერე რა, სუ კისერში მუჯლუგუნის ცემით და ჩქმეტით მოერთოთ თქუენის ხელოვნებითვე ქართულის ტანისამოსით; მასუკან წამოეყვანათ და ემოქმედათ: ვერონას მაგიერ, გორში, და დანიის მაგიერ, ტფილისის ქალაქში. ერთი მიბძანეთ კარგი

იქნებოდა?... ვიცი გული გეუბნებათ, რო არაო, მაგრამ მაინც კიდევ აბრუს არ იცვლით.

რასაკვირველია თქუენ შეგიძლიანთ მიპასუხოთ, რო ზოგს ფლავი უყვარს და ზოგს კორკოტიო, და მეც გეთანხმებით, მაგრამ, ესკი არ უნდა გავიწყდებოდესთ, რო კაცი არის მწევრი საზოგადოების, მაშასადამე, ყოველი მისი გრძნობა და მოქმედება უნდა იყოს საზოგადო, და არა კერძოებითი.

ვჰსთქუათ რო ყველა შეიძლება მოიგონოს კაცმა, მაგრამ ეს მაინც როგორ ვერ მოიგონეთ უ. ანუკა ბატონისშვილის ავტორო, (აქ საჭიროდ აღარ ვრაცხ, ვჰსთქუა რამე საწყალს უ. რჩეულოვისაგან დაჩაგრულს ანუკა ბატონიშვილზედ, რადგან ყოველივე ამტკიცებს მის უბრალოებას). რო, არამც თუ ძველს დროში, არამედ თჳთქმის ახლაც, როდესაც ცოტად, თუ ბევრად კიდეც შემოვიდა ევროპიის განათლება, არა დროს არ მომხდარა და არც ჯერ ხანობით შეიძლება მოჰხდეს, იქამდის იკადნიეროს საქართველოს შვილმა, რო თავის მანქანებისათჳს გამოიტყუოს სახლიდამ სასულიერო პირი, ისიც ვინ? მოძღუარი!!! ვითომც წმინდის საიდუმლოს აღსასრულებლად, მალათ თვალები ახვეული შეიყვანოს ერთს სადმე ცარი-

ელს გომში, მერე იქ დაამწყვდიოს, იმისი ანა-
ფორით შემოსოს გულდამწვარი ქმარი და მეიყვა-
ნოს წმინდას ეკკლესიაში. ეს კიდევ არაფერი,—სა-
კურთხეველში წმიდას ტრაპეზთან!!! (ჭეშმარიტად
დიდი გამბედაობაა საქართველოს შჳლისგან.) გი-
თომც გასანდობლად მოძღვრობის წესით თავის
მოღალატის ცოლისა. ახ! უ. რჩეულოვ, იცით
თუ როგორ გმობს და ცილის წამებას ჰსდებთ
მთლად საქართველოს შჳლებს, რადგან არ უნდა
იცოდეთ, რომ ჩუჱნნი ნეტარ ხსენებულნი გჳრგჳ-
ნოსანნი მეფენიცკი დიდათ ერიდებოდნენ საკურთ-
ხეველში შესვლას, თუმცაკი, როგორათაც სცხე-
ბულთ, იმთ არა ჰქონდათ ძალა იქ შესვლისა.
ნუთუ არა იყოსრა იმას მაინც მოიგონებდით, რომ
საქართველოს შჳლნი, ისეთის საღმრთოს სასოე-
ბით უცქეროდნენ საღმრთო მოქმედებას და თჳთ
საღმრთო პირთ, რომ თუმცა დანამეულიც რამ
ეპოვნათ ამ უკანასკნელში, მაინც არას გზით არ
იკადრებდენ, გაებედნათ უკრებულოთ თჳთ ნებობი-
თი მათზედ ჴელდასხმა.

მიკჳრს მეფე ვახტანგ გორგასლანის ისტო-
რია მაინც რათ დავივიწყებიათ. არ იცით რომ,
როდესაც ვახტანგ გორგასლანი მოვიდა გამარ-
ჯუჱბული სპარსეთიდამ ქალაქსა მცხეთას, და ნახა

სუყათა სარეხის რიცხვში მუნებული მღვდელთ-მთავარიც, მაშინვე გადმოხდა ცხენიდამ და სიმშვი-დით წინამე მისს ფერხთან დაემხო და უამბო-რებდა, მაგრამ ალმრულმა ვნებებით მღვდელთ-მთავარმა, ჰკრა კბილებში ფეხი და რამდენიმე კბილი ჩააგდებინა. მიბძანეთ ერთი, შეემლო თუ არა მეფეს, რომ ამ გვარის უწესოობისათვს იქვე ჩამოეხრჩობინებინა? მაგრამ არა! რადგან მეფე ხედავდა მღუდელთმთავრის სახეში თვთ იესო ქრისტეს სახეს, ამისთვს ვერარ გაბედა, რომ ანკი უშუერი რამ ლექსი მკადრებინა, გარდა მხო-ლოდ მისა რო წესიერის ღირსებით გაისტუმრა კონსტანტინეპოლის პატრიარქთან, სადაც პატრიარ-ქთა კრებამ კიდეც ერთხმობით ექსორია უყვეს. მაგრამ რა საჭიროა პატივცემულნო მკითხველნო ამდენი მხილება უ. რჩეულოვისათვს, რომელსაც წმინდა სახარების სიტყვა წინ გვიძევს: „სიტყვა-მან შენმან გამოგაჩინოს შენ“ ის არა ჰსჯობია, რო, უ. რჩეულოვი გამტყუნდეს თვისსავე სიტყვთ-აჲ, რას ამბობს. Стр. 421. დეკანოზს (ესე იგი მომღუარს ზაქარიას.) აუკრეს თვალები, და პატარასანს აქეთ იქით ატარეს, შეიყვანეს ერთს ცარიელ გომში, იქ გახადეს მას ანაფორა და მოხსნეს ოლარი, შემდეგ ესენი მარტირუზამ

გამოიცანა და გამოვიდა და დანამთენი დეკანოზის ყარაულად დაშთნენ იქა.» ერთი რამე არ უბმა-ხეთ პატივცემულნო მკითხველნო უ. რჩეულოვს, საიდამ დაწყესა ეს ახალი თჳსება საქართველოს სამღვდელოებში, (მერე ისიც 1574 წელში, როგორც თითონაც მოწმობს.) რო მოძღვარმან თავის სახლშივე გადიდოს კისერზედ ოლარი და ისე წავიდეს ორს ან სამს ვერსზედ წმინდის საიდუმლოს აღსასრულებლად. არა ჰსჩანს ცხადად, რო ეს წესდება არის კათოლიკების სამღვდელოების, რომელიც კიდეც ისე იქცევიან, როგორც უ. რჩეულოვი მოგვითხრობს. ად, კიდევ იმავე გვერდზედ მისი სიტყვა: «ქალი (ესე იგი ანუკა ბატოშვილი) შევიდა საკურთხეველში და მუხლი მოიდრიკა წინაშე მოძღვრისა, (მისის ქმრის თავადის ხოლაყაშვილისა, რომელსაც ეცვა ზაქარია დეკანოზის მოძღვრის ანაფორა და ედო კისერზედ ოლარი.) რომელმაც ბუტბუტით გადააფარა მას თავზედ ოლარი.» ნურც ახლა დაიჯერებთ.

აკი მოგახსენებთ, რომ უ. რჩეულოვი, სწორედ რომის პაპა და ან კოსტანტინეპოლის პატრიარქი გამხდარა, რო საწყალი ქართველებისათჳს სუ ახალი საეკლესიო კანონები დაუწყვა. თუ ღმერთი გწამსთ, ერთი კითხეთ მაგ უ. რჩეულოვს, გან-

ლობილა სადმე თავის სიცოცხლეში ლამპადისაგან საკურთხეველში? აბა მოდი და მეთილისმობას ნუ დაუმტკიცებ იმას საუკუნოდ· სად მოძღვარი, ერთი მიბძანეთ სანთელი და ვუმასთონო, რო საქართველო-ში მოძღვარს გეგნდოს ქალი საკურთხეველში.

ეჰ! რაღა მეთქმის შემდეგ ამისა.

ერთის ლექსით უნდა დავაბოლოთ, რო ბევრს უმსგავსოებისა ვხედავ უ. რჩეულოვის შრომაში, მაგრამ, რადგან თვით უ. რჩეულოვი არ არი ამა-ში დამნაშავე, არამედ ერთი მხოლოდ მისი მო-უწიფავლი სურვილი, რომელიც არც დღე და არც ღამე არ აძლევს იმას მოსვენებას, იმ მიზე-ზით, რომ ნახოს თავისი უფალი მწერლობის ტახტზედ იტალიის პოეტის ტასსოსებ დაფნის შტო-თიგან მოთხზულის გვირგვინით, ამისათვს ნურარც ჩვენ გამოვეკიდებით; მხოლოდ ეხლა სამწუხა-როდ მაქვს, რომ, რომის პაპა, რომელსაც დაწყევლილმა გარიბალდიმ ძალიან გაუფუჭა საქ-მე, მგონია რო ჯერ ხანობით ვერ მოიცლის უ. რჩეულოვის დასაგვირგვინებლად — ა... ა... ა... უ!.. სუ! ამთქნარებს??.. აბა ერთი საათი გავ-მინდეთ, ბაა!! შუაღამე!!! ხედავ რამოდენა ღა-მეს გაუთენია ამ უსარგებლო ცხელობაში. მამ მშვიდობით, ღამე მშვიდობისა ჩვენო გამოჩენილო

მწერალო. ოხ! რა მეძინება ხხხ!!! . . .

. . . . . . . . . . . . . .

კახეთის მეზურნე.

**16** თებერვალს.
**1861** წელსა.
გრემის ნაქალაქევი.

---

უფალო რედაქტორო!

არა ერთხელ მომსვლია სურვილი ჩაწერა ჩემის სახელის თქვენს გამოცემულს ჟურნალ «ცისკარში» მაგრამ როდესაც დავაპირებდი ამ ჩემის სურვილის ასრულებასა ყოველთვის თითო მიზეზი დაბრკოლებისა წინააღმდეგებოდა და ვიყავი აქამომდე ამისთანა ცახჭვაში. ახლა ჩავიგდე დრო, მინდა თუ თქვენს ჟურნალში ადგილს მომცემთ მოვახსენო რაოდენიმე აზრი ანუ მსჯელობა თქვენის ჟურნალის მდგომარეობაზედ.

ეს მესამე წელიწადი მოდის რაც რომ სუფევს თქვენი ძვირფასი ჟურნალი; სუფევს და ხარობს თავის წარმატებით. ოღონდაც წარმატებით! ვინც რა უნდა ბძანოს, მე ამას მოვახსენებ, რომ ამ

წლისთანა გამშუენიერებული, არასოდეს არ ყოფი-
ლა თქუენი აცისკარით მამასადამე მე მაქუს
ნება ვიკადრო მოგახსენოთ ყოველი სიკეთე
თქუენის ჟურნალისა. წარსულის თჳს ნუმერში
პირველად ჟურადღებას მიიპყრობს შესხმა დაწე-
რილი ქუთაისის ეპისკოპოზისადმი, შემდეგ
ღირს სახსოვრად რომანი ჳ არდაშნანის დიდის
მორთმით დაწყობილი და შედგენილი. ამასთანავე
სტატია მოლაყობისა სრულიად ამოწერილი ჩემს ზემო-
გამოთქმულ ქებას თქუენის ჟურნალისას. მით უმე-
ტეს რომ ძალიან მშვენიერად სწერს და ღირსად
ჟურადღებისა. ჩუენი თანა მედროვენი გალღებულ
არიან დიდი მადლობა შესწირონ მოლაყბეს და
არ ემდურებოდნენ ზოგნი, როგორც ყური მოვ-
კარ ზოგ ერთს ალაგს. ნეტავი მე ვიყო მოლა-
ყბე განა არ მინდოდა ერთი უჩინ_მაჩინის ქუდიც
მე დამეხურა, და შემოვრეულიყავი თქუენს ჟურ-
ნალში მაგრამ ვინ დამალულია რომ მე არ გა-
მოვჩნდე. ერთის სიტყვით თუ განაგრძელებს თა-
ვის ფურცლებზე მოლაყბე ძალიან მადლობელი
ვიქნებით. ბევრს მართალს გვეუბნება და სხუა ს-
მართლია მეგონა ყოველთა სჳნიდისანთა კეცმა
მიიღოს პატივისცემითა, ამისათუის ვბედავ გა-
ცნობო თქუენ, უფალო რედაკტორო ჩემი აზრი

რომ ამ წლის ცისკარი სრულიად შემკობილია ყოვლის ახალის აზრითა. და დასამტკიცებელად მი-სა რომ მოლაყბე ჭეშმარიტსა სწერს გმარა სხვა-ცა ფეხურველის ცისკრისა «რამდენიმე აზრი შე-სახებ ჟამნისა. — ახლა მოგახსენებ თქუენ მო-წყალეთ ჟამიწიფეთ ერთ ორ სიტყუას შესახე-ბელად თქუენის საუცხოვო სტატიისა, თუმცა შე-ვიტყუე გემღდურიან, მაგრამ სამღდურავი შეიძლება მოხდეს რაც უნდა მართალი იყოს მცოდნობაც ანუ სიმწირით. აი პირველი თქუენი შენიშნულობა რომ უწინდელ დროში განათლება მდგომარეობ-და სარწმუნოებაში და სარწმუნოებაშივე განვი-თარდება, ეს იმისთანა ჭეშმარიტება, რომელსაც ვერ ვინ ჩუენგანი წინააღმდეგება და მოყვანილნი თქუენგან მაგალითნი: დავით აღმაშენებელი, მი-ტროპოლიტი იოანე და სხ. ესეც ამტკიცებენ სრუ-ლიად თქუენს შენიშნულობასა. —

ახლა უფალო რედაკტორო. რადა ბევრი შეგა-წუხოთ, თქუენმა კეთილმა ჟურნალმა მიიპყრო დიდი ყურადღება ქართველთაგან, რომელნიც არ დაიშურვენ სამამულო საქმისათჳს გულმოდგინებას და გაცხოველობენ თავიანთ ერთგულობას თქუენს ყოვლად შემკულს და განვითარებულს ჟურნალსა, მეც ვიხვეწ მაშინ ამიტომ ... განაჯა და

## მეგობრებს ყოველთვის მომწერალთ ცისკრის ქართული სალიტერატურო ჟურნალის. (*)

პეტრე ბაქრაძე.

24 ფებრვალს.
ჩყჲ. წელს.

---

### ბ. რედაკტორო!

ყოველნი კეთილნი დაწყობანი, რომელთაც საგნად აქვთ საზოგადო სარგებლობა, ლიტერატურები, ბაღის მოწყობანი და თეატრების გამართვანი, ჩვენს დროში აღმოჩნდებიან საჭიროდ საზოგადოებისათვს. ვინცკი ევროპიის და რუსეთის ჟურნალებს კით-ხულობს, ის დიად დამემოწმება ამ სიტყვებზედა. დრომ განვლო, როდესაც სახალხო საჭიროების

---

(*) მოვკარ ყური ორს სამს ალაგს, ვითომც გვიბრალებენ კრიტიკის დაწერას, ჩვენს ზოგი ერთს აზრზედა, რომელიც დაბეჭდილი იყო ფებრვლის ნომერში, და თან ამ დაბრალებას ზედ დაუმატებენ, ვითომც ჩვენ არ დაუბეჭდავდეთ, რადგანაც ჟურნალი გამოდის ჩვენ მხედველობასა ქვეშე.—უმორჩილესად გთხოვთ იმ უფალთ, უკეთუ მართლად ეს განზრახვა აქვსთ, აღასრულონ თავიანთი განზრახვა,—ჩვენზედ დაწერილს კრიტიკას დიდის სიხარულით მივიღებთ და დავბეჭდავთ,—რასაკვირველია არც უპასუხოთ დავაგდებთ. რედ. ცის.

აღსრულებაში მოყვანისათვს, საზოგადოება მიჰმართავდა მთავრობასა და მას მოსთხოვდა შემწეობასა. ასეც უნდა იყოს. მხოლოდ საზოგადოების თვით მზრუნველობა და იმის მხრითვე დაწყება თვისს შესახებთა საქმეთა მისცემს სახსრს მოძრაობასა, დააყენებს განათლების გზაზედა. ჭეშმარიტი განათლება ისე სწავლათა საგნების მიითვისებაში არა მდგომარეობს, როგორათაც მისდომილებაში საზოგადო საჭიროებათა და მათ აღსრულებაში საზოგადოებისაგანვე. ასე ესმით ესა ყოველს განათლებულ ქუეყნებში. თვით ამერ-იმერეთშიაც ასე იყო ძუელის დროებში. უმეტესი ნაწილი მეცნიერთა ვაჭართა და მოხალისეთა, ავრეთვე თარგმნილებანი საეკლესიო და საერო წერილთა ქართულს ენაზედა, შეუსრულების სახსრსა თვისის-თავად, ქველ-მოქმედებათა ქუეშე ნიჭიერთა და გამოჩენილთა პირთა. ამ წესზედ უნდა დავემყარნეთ აწცა და ეს არც არის ჩუენთვის ძნელი. ამერ-იმერნი თვით ბუნებით არიან მდიდრად მინიჭებულნი და სავსენი მიდრეკილებათა ყოვლისა კეთილისადმი. საჭიროა მხოლოდ, იმათ ჰყვანდეთ რამდენიმე კარგათ მომზადებულნი და მხურვალენი წინამძღოლნი. თუ ამ გვარნი პირნი ეყოლებიან ჩუენს საზოგადოებასა, ის ადვილად მისცემს მათს აზრსა

და მიიღებს მათს მთავრობისა.

დასამტკიცებლად აი ერთი შემთხვევა ქუთაისში. აქ რამდენიმე პირთა განიზრახეს საერო_სასარგებლოდ წარმოდგენა ქართულს ენაზედ თეატრისა. ამ_გვარი წარმოდგინებები იყო პირველად ტ. გ. დავითის_ძემ ერისთავმა ათის წლის წინათ, ტფილისში. მაგრამ ის საგანი, რომელიც აწ აქვთ, იმას არა ჰქონია მხედველობაში. უნდათ წარმოდგინებებით შეადგინონ იმდენი ფული, რომ დაბეჭდიონ ერთი ძველი წიგნი, რომელიც დიდ ცოდვათ წაუკითხავთ და რომლისაც გამოცემა დიდ საჭიროა. ჩვენ ვამბობთ «კალმასობაზედ.» ეს წიგნი შეუთხზავს უკანასკნელის საქართველოს მეფის გიორგის ძეს იოანეს, და შეიცავს მთელის მეთვრამეტე საუკუნის ამერ_იმერთა ზნეობათა და ყოფათა, და შესანიშნავთა ისტორიულ_პირთა მოქმედებების გამოსახულებისა, აგრეთვე საქართველო_მსოფლიო ისტორიათა და მეცნიერებათა. ეს თხზულება მთელი ენციკლოპედიაა და არის დაწერილი მშვენიერის ენით. ამ თხზულებაზედ არ გავრცელებულა სიტყვისა, ბ. რედაკტორო, ამისთვის რომ აპრილის «ცისკრისათვის» თქვენ მიიღებთ ჩემგან იმაზედ ვრცელს სტატიას. მხოლოდ ვიტყვით, «კალმასობა» ასეთი რამ არის,

რომ თჳთოეული ქართველი გულში უნდა აქონ-დეს და სკოლებშიაც უნდა იყოს გამოღჳძებული ჩუენის ენის სწავლისათჳს.

ქართულის თეატრის დადგენა სასარგებლოდ «კალმასობისა» დაბეჭდვისა დიდის სიხარულით მი-ღებულ იქმნა ჩუენის ქალაქის საზოგადოებისაგან. თჳთ გენერალ-გუბერნატორის თ. გ. რ. ერისთავისა და გუბერნატორის სახლობათა მიიღეს, როგორა-თაც საზოგადოების მწევართ, გულითადი მონა-წილეობა. უპირველესნი სახლის დამწყობნი და ამასრულებელნი პირნი იყვნენ გიორგი ბესარიო-ნისძე ლოლობერიძე, მოსკოვის უნივერსიტეტის მოსწავლე და კაპიტანი კონკა. უ. ლოლობერიძე სავსე გულს-მოდგინებითა ცდილობდა კეთილისათჳს, ამხნევებდა მოთამაშეთა, შეკრებდა მათ თავისს სახლში და კისრულობდა ხარჯს სახლის წარმო-ებისა. კარგმა ხელოვნის გამოჩენამ შეადგინე უ. კონკამ, დეკორაციის დადგმის გარდა მიიღო თავის-თავზედ რეჟისსორის თანამდებობა და აკტო-რი-აქტიორები დაყენა თჳთოეული თავისს წრე-ზედა. წარმოდგენა იყო კვირაშ 3 ამ მარტს, საღამოს შემდეგ 8 საათით. ქალაქის კეთილშო-ბილნი საზოგადოების პირნი და მოქალაქენი თჳ-თქმის ორასამდე დაესწრნენ, სახლი-მხოლო სავსებით

დამაც შეიყარნენ თავად-აზნაურნი. ხალხი შემოკრბა მრავალი. არათუ ზალა იყო გაჭედილი, ეზოც კი გაივსო. წარმოსადგენლად აღირჩიეს ისაყრია თავადის გიორგი დავითის ძის ერისთავისა, და მოთამაშენი იყვნენ შემდეგნი:

ანდუყაფარ, ქვრივი. . . ს. აბულაძე.
ძმანი მისნი: ⎫ თავადნი დიდებუ-
ივანე გაზდილი რუსეთში და ⎬ ლიძენი.
ახლად მოსული ვარშავიდამ. ⎭ ა. მეიფარიანი.
ჰავლე. . . . . . . კ. დ. წულუკიძე.
მაკრინე მისი ცოლი. . . ნ. მაისურავისა.
ნინო ჰავლეს ქალი. . . კნიაჟნა ელ. წერე-
თლისა.

ყარდაშვერდი, მაკრინეს გოგო. კნიაჟ. ეკ. აგიევისა
მიკირტუმ გასპარიჩი ცერდაცოვი,
ვაჭარი ანდუყაფარის მეგობარი. გრ. მიზანდაროვი.
თათელა მისი ცოლი. . . ნ. მაისურავისა.
შუშანა მიკირტუმას ქალი. . ლ. ფომინა.
რამაზ სუდის სეკრეტარი. . დ. ბაქრაძე.
ბარძიმ, დიდებულიძეების ნათესავი. კნ. აბ. მაჩაბელი.
ბარამ, ანდუყაფარის მოურავი. კნ. მ. ლორთქი-
ფანიძე.

კომისიონერი, თათელას ძმა. გ. კლდიაშვილი.

გაზრდილი, ივანეს მსახური . . კნ. ო. დადიანი.
ბაზიერი, იმერელი . . . კნ. ნ. ერისთავი.

ესენი ყველანი იმერეთის შვილნი იყვნენ, გარდა სამთა პირთა. იმათ შორის, არათუ არც ერთმა არ იცის სცენური კილოვნება, გარდა მდი-ფარიანისა, რომელიც თვითონვე არის ავტორი პიესისა: «ქმრები გავაბით მახეში», უმეტესს ნაწილს სცენაცკი არ უნახავთ. ამის გარდა, გვიან შეუდგნენ საქმეს და რეპეტიციებისთვის საკმაო დრო არა ჰქონიათ. საზოგადოება ეჭვნეულობდა წარმოდგენა-ზედ. მაგრამ ამ მოთამაშეთ მოულოდნელად აღ-მოაჩინეს ნიჭები, რომელთაგანაც დიად შემკული არიან იმერეთის შვილნი. არც ერთი მათგანი არ შეკრთა; არც ერთი დაიბნა. თვითოეული გამოდი-ოდა გაბედვით სცენაზედ, ვითამც რომ დი-დი ხნის შეჩვეულნი იყვნენ. თვითოეულმა შეითვისა თავისი როლი, როგორათაც კაცმა, აგრეთვე ქალმა. უმჯობესად ითამაშეს მიკირტუმამ, ანდუყაფარმა, თაველამ, პავლემ და მოურავმა, რომელთაც რო-ლები უძნელესი იყო. უმეტესი ნაწილი ლექსები წარმოსთქვეს სიმღერით. ორკესტრი იყო გიმნა-ზიის მასწავლებელთა და მოსწავლეთაგან შემდგარი,— ფორტეპიანო, ფლეიტა და სკრიპკები. როგორათაც

სიმღერა მოთამაშეთაგან, აგრეთვე ორკესტრი იყო დიაღ სასიამოვნო და მშვენიერი. სრულებით არავინ არ მოელოდა ამ გვარ წარმატებას. აპლოდისმენტები და აპლოდისმენი იყო ხშირი და საზოგადო. ორის საათის განმავლობაში მთელი კლუბის სახლი ზანზარებდა და ირყეოდა. რასაკვირველია ეფექტს ძალი მისცა თვით «გაყრამა.» «გაყრა» არის უმ-ჯობესი კომედია, რადგან ჩვენს ენაზედ აქამო-მდე ამ გვარი რამ დაწერილა, — უმჯობესი, რო-გორათაც კილოვნებითის ქართულის სახიერთებისა და ზნეობათა გამოსახულობითა, აგრეთვე ნამდვილს ჩვენის კომიკურით მხარეთ ჩვენებითა.

დაბოლოება წარმოდგენისა იყო მოსაწონი. ქორწილი, მაყრული სიმღერა, პატარძლის მე-მოყვანა, უცხოდ რომ იყო თვითოდ ნაცმული და მუზიკული დეკორაციებულის იალქნით, ლეკური შემდეგ მილოცვა და დასასრულ ქალთა და კაცთა-გან სიმღერითვე წარმოთქმა მეკვლიისა ლექსისა, რომელშიაც ავტორის მაგიერ ისინი უჩვენებენ «გაყრის» სახეს და იმისთვის მადლობას ნაკლუ-ლევანებათათვის. ამ შემთხვევამ დიდი ეფექტი მისცა წარმოდგენასა. მთელი პუბლიკა დიაღ კმა-ყოფილი დარჩა. ქართველნი, ვინცკი ტფილისის ქართულს წარმოდგენაებში დასწრობიან, განათ-

ლებულნი რუსნი, რომელთაც სხუა და სხუა თეა-ტრები უნახავთ, ამბობენ, ასეთი საზოგადო მხია-რულება არ გვახსოვსო. მრავალი ქება შეასხეს ტრუპპას. ეს იყო მიზეზი, რომ თვით მოთამა-შენი გასამამხნევად კლუბშიაც სრულს აღტაცებას მიეცნენ. შესანიშნავი ეს არის, რომ გ. ლოლო-ბერიძემ წარმოსთქუა ტოსტი «გაყრისა» ავტორი-სათვის და ყოველთა იქ მყოფთა პირთა ერთის ხმით ისურვეს მისი დღეგრძელობა. ეს შემთხვევა არს თუ სასიამოვნო იქნება ჩუენთვის დიად პა-ტივცემულის გ. დ. ერისთავისათვის, ჩუენის აზ-რით კიდეც ამტკიცებს, რომ ბედი არ მო-ასვენებს საზოგადოების წინაშე იმ ავტორს, რო-მელიც ბუნებას შეუმკვა მაღალის ნიჭითა და ისე როგორათაც «გაყრისა» ავტორი, მარხავს მიწაში თვისს ცოლისხვის... ქუთაისში სიამოვნება იყო ისეთი, რომ ეს სამი დღე, ყოველს საღამო და ბაზრებში მხიარულად წარმოდგენისად არისხაყობა-რისაკუთვილი, ბევრი არა ქართველთა ბედნიერება ნა-ხვისა. ეს ჰამბი დიდად სწყინდათ და კვირისთვის ითხოვეს მათ განმეორება. მეორედ ესეც მოხდა. აქ ვსურთ, რომ ქუთაისში აშენდეს რუსულის და ქართულის სცენებისათვის შესაფერი ბალაგანი, ამ მიზეზითა, რომ შეიძლება ნიჭიერი შემოსავალის

ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ დაეწესოს. დიდ სასიხარულო იქნება ამ სურვილის ასრულებაში მოყვანა. «გაყრის წარმოდგენით, ხარჯთ გარდა, თუ თუმნამდე ფული შესდგა. ნაალდევლომევსაც იქნება რამდენიმე წარმოდგენა შესაძლებლად იმ ფულისა, რომ, როგორათაც ზემოთ ვსთქვთ. «კალმასობა» დაიბეჭდოს. იმის დაბეჭდის გარდა, ჩვენი აზრი ეს არის რომ ფონდი დაფუძნოს სხუა და სხუა ქართული წიგნების გამოცემისათვის. «კალმასობის» პირველის ნაწილის გაყიდვით უნდა გამოიცეს მეორე მისი ნაწილი, რომელიც შეიცავს იმერეთის აღწერას, და შემდეგ საბა ორბელიანის ლექსიკონი. ერთის სიტყჳთ ყოვლის წიგნის გასყიდვით მეორე რომ წიგნი უნდა დაიბეჭდოს; აგრეთვე მესამე, მეოთხე და სხვანი. ფასი უნდა იყოს, რაც კი შეიძლება იაფი. «კალმასობა» ორ მანეთზედ მეტი არ უნდა ღირდეს. სწორედ იმიტომ არის საჭირო, რომ უფრო გავრცელდება წიგნი ხალხში და ადვილათაც გაისყიდება. თვითეული მისცემს სარგებლობას, რომელიც ამ აზრის ასრულებას შეუდგება: ამოსჩნდებიან დრამატიული მწერალნი; საზოგადოებას მიეცემა მოძრაობა, განათლებისა. გარდა ამისა, ნუ დავივიწყებთ, რომ ყველანი დარწმუნებულნი

გარეთ, ჩუენის საკუთარის ენის მისუსტებაზედა. ეს დიდი ჭეშმარიტებაა — და უმთავრესი ღონისძიება ენის აღდგინებისა არის ძუელის წიგნების გამოცემა და იაფის ფასით გასყიდვა. «კალმასობისა» ხელნაწერი მხოლოდ საქართველოში მოგზაურობისა, ესე იგი პირუელი წიგნი, შეიცავს ორ-ასამდე გვერდსა, უნდა გაიყოს ჩუენის ფიქრით, სამ ნაწილად და დაიბეჭდოს გარკვეულის სტამბით, კარგს ქაღალდზედა და არა დიდის ფორმატით.

ვიმედოულობთ, ამ საქმის დაწყობასა ართუ ტფილისში და მთელს საქართველოში, მკითხველნი მონაწილეობით მიიღებენ, არამედ ისე ამ მაგალითს მიჰბაძვენ და ამერ-იმერნი საზოგადო საქმეების შესახებით საქმეთა მასხრულებენ, შემობრივის თანხმობითა და ერთი-ერთის შეწევნობითა.

გულითადი მსურველი თქუენის კეთილ-დღეობისა და თქუენის ჟურნალის წარმატებისა —

დიმ. ბაქრაძე.

6 მარტი, 1861.

ქ. ქუთაისი.

ჩუენის, მშობლიურის ენის ერთგულო თანა-
მშრომელო, საყვარელო დიმიტრი!

ჩუენ ვერა ვპოვებთ სიტყვებს, რომლის სა-
შუალებითაც შეგვეძლოს მადლობის გადახდა, ამ-
გვარ კეთილშობილურ და ღირს სახსოვარ აზრის
გამოსახატავსათვის. პატივი და დიდება იმერეთის სა-
ზოგადოებას, რომ ასე დაუცხრომელად ზრუნავს
ჩუენთვის, ჩუენის სიტყვიერებისათვის და ჩუენის
ხალხის საჭიროების აღსრულებაში მოყვანისათვის. —
კვალად პატივი იმ პირთა, რომელთაც მიუღიათ
მონაწილეობა ამ საზოგადოდ კეთილს საქმეში. —
ახლა ვემედოვნებთ, რომ დიდის ხნით მილულე-
ბული ჩუენი სიტყვიერება გამოიფხიზლებს თავისს
ერთგული შვილთ შეწევნით. — ჩუენც ჩუენის
მხრივ ვეცდებით ყოვლის ღონისძიებით, მაგ
თქუენის კეთილშობილურის განზრახვას, მოვესმარო-
ნეთ იმედითა მით, რომ საზოგადო ამერ-იმერთ
მეცადინეობით სასალხო საჭიროება ჩუენი განვრცე-
ლდება და მით აღსრულდება დიდის ხნის გულ-
მხურვალე სურვილი ჩუენი, რომელნიცა დავმთე-
ბით მადლობელნი თქუენნი, რადგანაც თქუენი
საზოგადოება მიზეზი, ამ სასალხო კეთილის
საქმის დაწყებისა. —

თქუენის, კეთილ განზრახვის, აღსრულების,
გულმხურვალედ მსურველი რედ. ვერესელიძე.

## ლოტოთი ლოთობა ქუთაისში.

წარსულს წლის, სეკდემბრის ცისკარში თუმცა წავიკითხე ლოტოზე ცოტა რამ მოთხრობა, მაგორამ მალიან გაურკვევლად და სუსტად დაწერილი იყო.—ეხლა მეცა მსურს ცოტა რამ შენიშვნა ჩემის მხრით დავმატო, ამ ახალ წლისათვს ჩვენ ქალებს უბედნიერო და უთავმზო წასაკითხავათ, რომელზედაც არ არის ეჭჳ შემდეგომ მადლობას იტყვიან: «ისე კი მოუვა ამის დამწერს, კაი ახალწლის მოსალოცავი ჩვენთვს შეუმზადნია, ვიღაც პლუტი ყოფილა.» წინეთ ამისა, ლოტოს ანბის დაწერა დააბრალეს ბ. რაოდენთამე ქალებთაგანმა, ხოლო რაოდენობა მათგანი ამბობდენ: «ეჰ! ჩვენი ბ. როგორ დაწერდა.» მეორე მხარე იმასდა აგრე კი არა და, ვინც იმის დაწერია, ჩავიგდოთ ხელში, იმოდენი გვცემოთ, იმდენი, რომ...» რა რომ ეს ანბავი გაიგო ბ. ფიცი და შეხვეწნება დაიწყო: არ ვიცი ვინ დაწერაო და მიმისავამო კარგ მთავარიან ღამეში მარ-

ცოთი სიარულს ბულვარზე ველარა ბედავდა:—მე ამას ვერ ვიტყჳ რომა ბ. ნაწერი იყოს, მაგრამ ძალიან ფრთხილი კაცის ნაწერი უნდა იყოს. მი-თი, რომ ნაცვლად ძალის გამოჩენისა წერაში ანბობსათუ. ქალები ლოცვას თამაშობას მოშლიან, მე ჴის სიმსხო სანთელს ღმერთს შევსწირავდიო. ა მე გირჩევ უფალო ავტორო! სულისათჳს მეწირე რამე ღმერთს და ქალების საბრალისა და ლოცვო-სათჳს თავს ნუ შეიწუხებ. აი! მე გამოვსულვარ ასპარეზედ, მობმანდენ ქალბატონები (მეელემურად მითქუამს) ჩემ საცემად, რომ სიმართლით აღუ-წერ მათ თჳთოეულ მოქმედებას ლოცვის თა-მაშობაზე. ლოცვა არც არის ჩუენი ბუნებითი თამაში და არც მისთანა სათამაშო, რომ ჭკუა ეკლესიაზე მიმოსვლის ამცირებს, მოსასლობის ზრუნვას აცვებინებს და საამო შეკრებას ქალთა არღვევს. ლოცვის თამაში იმერეთში გაზმირდა ჩუნღ-ს წლიდგან, ესე იგი წარსულის ოსმალოს ომის დაწყებითგან, თითქო ქალები ლოცვოთი იყვ-ნენ ალქერვილნი მამულისათჳს.—პირველად თჳ-თეული ოჯახობა მოიპატიჟებდა ქალებს და მექ-ცეოდნენ ლოცვის თამაშობას ათ საათამდე და ბევრი იყო თერთმეტ საათამდი ღამისა; შემდეგ რამდენსამე დროს განვლისა, ლოცვის თამაში

გახშირდა ასე, რომ ღამეს არ გაუშვებენ ცუდათ ჩუენი ქალბატონები რომლისამე ოჯახში არ იყვენენ შეკრებულნი ლოტოს სათამაშოთ; ასე გაერთუენ ამ წყეულ თამაშობაში ქალები, რომ მოუპატიჟებლად შეკრბებიან ერთი მეორესას და ისეთი მალაც მიიღო ლოტომ, რომ ყოველ წირვის გამოსვლისაზე ეკკლესის ბჭის წინეთ არის მათში დიდი მოლაპარაკება:

«ქალო, ამაღამ ვისას ვიქნეთ შეკრებულნი? ამაღამ ვისას?... მაშინ მისცემენ ერთიერთმანერთს პირობას: ქა! მივიდეთ ამა და ამისასა.—მივლენ დიდის სიცილით და გამოუთქმელის მხიარულებით, მისვლისთანავე, ლაქიები სამოვრის მაგიერად, ეცემიან სტოლებს, გამართვენ და დაწყობენ მაზედ ფიალებით სიმინდის მარცვალს და ლოტოსა: იმავე მინუტამდი ქალები შემოუსხდებიან სტოლებს და დაიწყებენ მახილს; 30,25,60. მოხდება, რომ სამჯერ ერთი და იგივე პირი მოიგებს, მაშინ გაჩნდება მათ შორის ჩუმი ბუტბუტი: იქა! რა ღმერთი გაუწყრა, რომ იგებს სულ და ჩუენ არა! არა, სტყუი შენ! მომგები ფიცს დაიწყებს:—არა ვსტყუი.» «ქაღალდი გამოვცვალოთ, ა რა ბაიყუში ყოფილა!» (ერთმა სხვათა იცის ქაღალდის გამოცვლა) გამოსცვლის და მოიგებს

სხუა რომელიმე; იტყვან მაშინ, «აი როგორ მო-
გვიხდა ქაღალდის გამოცვლა!» წინეთ მომგები
იწყევლება ჩუმათ და ასეთი თვალებით იყურება,
რომ ბევრს რასმეს გამოიხატავს ჰაზრში, მაგრამ
ერთ ცხვარს ბევრს მგელშიდ რა გაუვა!—გაზა-
ფხული როდესაც მოაწევს ხოლმე, მაშინ იტყვან.»
ეს რა უბედურება მოგვივიდა, ღამე გაგვთენდა
და დღე შემოგვესალა (ესე იგი ღამე დაგვიპარცა-
რავდა) ამ დროში გასწევს ლოცვის თამაშობა რვა
საათითგან შუადღისა, სამ საათამდე ღამისა, ხანდის-
ხან კიდევაც შემოათენდებათ თამაშობაში, ამავ
დროს იტყვს ერთი მათგანი: «აღარ ავდგეთ?
მეორე ამოიოხრებს და იტყვს:—რაღა დროს ად-
გომა არის, ცისკარზე წავიდეთ და დეკანოზ გიორ-
გამეს ლოცვის გულს მოედგინება ვაჩუწნოთ;»
მართლაც და რო წავიდნენ ორი მათგანი, შევიდნენ
ეკკლესიაში თუ არა, შესმათ მოჩქარებული ხმა
კირიელეისონ.... მათ ეგონათ, თუ ლოცვის ცი-
ფირებს ანბობდნენ, ესიამოვნათ და შეელაპარაკნენ
ერთი მეორეს: «ქა! ბევრი წავაგე! ბევრი წავაგე?
ღმერთო! შენზედ არის ჩემნი იმედი.—მახსოვს
წარსულ ომიანობის დროს, როდესაც შამოვიდა
ხმა, რომ სევასტოპოლი რუსებმა დასტოვესო,
ეს დრო იყო ღამის ათი საათი, როდესაც ქა-

ლები ლოტოს თამაშობდენ, ამ დროს შამოვიდა ერთი პაციაცემული მოხუცი, თავზე ძელი შამოიდო და უთხრა ქალებს: «ფუ! ფუ!... ეს რა ამბავია?! სევასტოპოლი აუღიათ და თქუენ ლოტოს თამაშობთო?.» ქალებმა გაიღიმეს და ლოტოს თამაშობა მხურვალედ განაგრძეს. ამისთანა შემთხვევამ რომ ვერ მოაშლევინა ჩუენ ქალებს ლოტოს თამაშობა ცოტა რამ მიზეზი როგორ მოაშლევინებს ?

მახსოვს ერთს წვიმიანს და ქარიანს ღამეს ქალები შეიკრიბენ რიონის პირად ერთ გისმესას, ამ დროს მხოლოდ მე მარტოკა მათშიდ ვიყავ ჩემდა საუბედუროდ. როდესაც დაიწყეს ლოტოს თამაში, ოთხმა მათგანმა ერთ ნუმერზე მოიგეს, ამაზედ შეიქმნა ცილობა და ჩხუბი: «არა, შენ არ მოგიგია! არა, შენ!... აბა შევასწოროთ, ამ შესწორების მაგიერათ ერთმა მათგანმა სთქუა: პურიკა უყოთ: — მეორემ სთქუა, პურიკა რა არისო?.. ეხლა ამაზე წაილაპარაკდნენ, ასე, რომ ზომას გარეშე გადიდნენ, შევშინდი და წამოველ შინაზე. მოწმათ არ დამისწრონ ამ ანბავზედა მეთქი; და ამის შიშით ერთი სამ მანეთიანიც დავკარგე: ერთი ამ ჩუენის ქუთაისის ქალებთაგანი ისე გარჯიშებული არის ლოტოს თამაშობაშიდ, რომ

თავის ნაომრებსაც ადევნებს თვალებს და სხვასაც, ამ დროსავე უკრის: «მანდა ფეხს! 35,15... თვალი დაიდევა როგორას ხედავ» მადლობის მაგიერად უპასუხებენ ხოლმე,—თვალიც დაიდევა და ყურიცაო»

ორი ქალი მათში საზინადროდ არის აღრჩეული, რომელთათვის უნდა ვსთქვა, რომ დიდი საჭირო არის წესიერებისათვის და ფულის ანგარიშისათვის. რადგან თვითო ფული არ იშოვება და ასიგნაციე-ბზე ლობიოს მარცვალს აწყობენ საზინადროები და ანგარიშობენ: «ეს ამან წაიგო! ეს მან!... მეტყვიან წამგებნი:—სტყუით, უგვალნო საზინადრონო! მე არ წამიგია ამოდენი ამ დიობის დროს ჩხუ-ბი მამოუკათ, თავიანთ ფულებს დაიბრუნებენ და დამსხდებიან: «ჩვენზე იყოს, ჩვენზე.»—ვინც მოხვედრია მათში, ასეთს დოცვნებით და ღმერთო-ბელის სულით წამოვა სახლშიდა, რომ ამას იტყვის კაცი: «უსათუოთ ამ ქალს მკლი უნდა მოკლამოდესო.»

ზედმეთაა ვთქვით, რომ ლოტოს თამაშობა იყო-და და თითქმის საათმდე ღამისა, ესლა ამა დროს ვარენიები ქუდოაქეთ და ისე მოჩქარებით სჭამენ ქალები, უთუოთ ეგონებს მეურებლები: «ამას ან მშიერი მისდევს, ან გაპარულნი არიან დამნაშავე-

მისათვნიო» და ეს სულ ის მიზეზია, რომა ჩქარა ჩაუსხდნენ ლოცვის თამაშობას.—

ნეტავ მელოისებოდეს ისეთი ბედნიერება, რომ ქალებთა შორის მელოისებოდეს ლოცვაზე დროს გატარება. ბევრი რამ კიდევ სხვა, მაგრამ მათი თვალების შეხედვაც მრელია, ისეთი მოისხანე შე-ქნებიან, რომ ბევრათ ჰკაფობს იულისში მაღლა მზის ცქერა!—რაკი ქალები შეკრბებიან ლოცვის თამაშობაზე ხმას ვერვინ ამოიღებს, და არის კაცკთაგან ჩუმი ლაპარაკი და ღუმილი: «ღმერ-თო ეს რა უბედურება შამოვიდა,» მეორე იტყვის: ეს სულ ს. ბრალია, სულ ეს არის ლოცვის უსტაბაში;» ამ დროს ერთმა მათგანმა მეორეს ჩაუჩურჩულა: «აქეთ მოიწი, ქა! გიანბო ის ყმა-წვილი, რო ცეცხლა არის, გათამაშოთო»—კარგი იქნება! დასმენ იმ ყმაწვილს და ათამაშებენ, ამ დროს იტყვი ერთი:» ვა! რა ხელები ქონია ამას, ამის ხელების ყურება სჯობია მაგის თამაშობას, ასე მეაფერებიანებს ყმაწვლ კაცს, რომ ხელს თა-ვზე მამოიდებამს, ნომერებს არ უცქერის და ლამე-ში ამითი ექვსი მანათი არ ეყოფნის წასაგებათ, ქალები აბობენ: «ეს ჩუწნი ჰყრია! ეს ჩუწნი... მეორე ეტყვის, ცოდვა არისო მასამე იტყვის:—მე უფრო ცოდვა არაფარ, მკლები გამიშვა და მე აქ

მთელ ღამეს ვათენებენ ლოტოზე.

არიან მათში ერთი ანუ ორი ქალი, რომელნიც იმჟამათ თამაშობენ ლოტოს, მიზეზი ეს არის, რომ ერთი მათგანი არის დიდი სტუმრის მოყვარე, რომელიც ეს დიდი ნიჭია და ცდილობს რუსულის ენის კითხვას და ლაპარაკს, იმ ქალმა წინეთ ორის წლის, მახსოვს არ იცოდა წყლის სახელი რუსულათ, ეხლა ლერმონტოვის თხზულებისაგან რუსულათ გიამბობს რაცა გნებავთ და კითხულობდა ილიუსტრაციას, პრეფერანსზე და იარალამზე დროს გაგაცყაებინებთ; აი გულს მოდგინება ეს არის! ქალებს ერთი ბაიათი შამოულიათ, მაგრამ სადილათ უკან ანბობენ ხოლმე შემდეგს: ოჰ! ჩუენო ლოტო! შენ ჩუენო ლოტო! შენ გეთაყვანოს იარალაში, შენ ჩუენო ლოტო, ეხლა თუნდ პრეფერანსიც, შენ .. ციფრებზეხომ, 90 როგორც ამოვა, თუ ამ ქალებთა შორის გაჩნდება კისკისი და ლაპარაკი, ეს ამ მიზეზით რომ რადგან ლოტოში 90 უკანასკნელი ციფრია, სათვალავითაც უმეტესი და ჩუენ ქუეყანაში ყველა კეთილშობილზე საქმიანე ქართველი არის ზნიერი, ამისათვის მას უწოდეს ეს სახელი, რომლისა ყმაწვილი მეუღლე ამ თამაშობაში ეს წრეში და მის გასაკვირვებლად მოიგონეს; რადგან

არ მოიფიქრებენ ჩუენი ქალები, ვინ აღწერს მას, დროც ბევრი უნდა და ქაღალდიც.—ნეტა კარგი რამ მაინც მოიგონონ და იფიქრონ ასე გულს მოდგინებით!

ერთი შავ იტალიანი ქალი მათში, რომელსაც უწოდებენ ორ სახელს: ნათლიათობისას ვ. სოფიო მეორეს, ლოცვის წინამძღომელს; ბევრს არ მამო-მაგინებ ქალო! როდესაც წაიკითხავ, მაგრამ რა-გვიმავს მე და ბ. თუ სხუა ვერავინ ვიპოვნეთ ჩუენდა დასაცველად, ნიჩაბს მაინც დავიჭერთ ხელში. ნუ გეშინია ბ. აქ არა ვარ! შენმა მზემ ასი ქალიც ვერ მოგვერიოს, ერთს ასეთს დავსხა-ხებ რომ სულ ყორნებსავით დაიფანცნენ. მოაწია ზამთარმა, და ფარნებია რომ კეთდება! ერთს მეფარნეს ვკითხე წარსულ კვირაში: სხუა დროს რომ ამოდენი ფარნები არ გაეკეთებია ესლა, რა მიზეზია მეთქი? მიპასუხა: ქალებს დასჭირდებათ ლოცვის თამაშობის დროს, თითქო ქალს ოთხი ანუ ხუთი ფარანი მოუნდება. ღმერთმა უშველოს რო ისე ხშირად ამცვრევენ და მისალებენ ჩემ ფარნებსა.—როდესაც ქალები ფარნებით ლოცვის თამაშობითგან დაბრუნდებიან, მაშინ წარმოვიდგენთ იმ პროცეს, რომელსაც აღვასრულებთ ჩუენ ერნი ქრისტიანენი აღდგომის ცისკარზე! მაგრამ ვინც

იცის მელოცველეთ პარცის ანბავი, ამავ წამს ეფი-ქრებს ეს უნდა იყოს ლოცვის ხუნდი. ამავ დროს ქუთაისში არის ფარნების ისეთი სინათლე, რომ ემეზავსება გაზოვი ასვეშჩენიეს.—ხედავთ როგორ იკრიბება ლოცვის პარცი? არის დიდი სიხარული მელოცველთა შორის შეკრებისათვის; ვაჭართაც კარგი დრო მოუვიდათ: პირველი, იარმუკა და მეორე ეს ლოცვა. ოთხ ოთხი პოლსაპოშკი თითო ქალს არ ყოფნისთ თვეში გასაცვეთათ, დიდის მიმოსვლით ლოცვის მიზეზით. ღმერთმან აცოცხლოს ჩვენი გუბერნაცვალი ივანოვი! ასეთ ნაირათ დააგებინა ქუჩები, რომ პოლსაპოშკზე კალოშები თითქმის აღარ არის საჭირო. წარსულ წელიწადებში ისეთი ქუჩები იყო, ბევრჯელ პოლსაპოშკები ლაფში რჩებოდათ.

არიან რომელნიმე გაუთხოვარნი ქალნი, რომელნიც თამაშობენ ლოცვას, მოიყვებენ რაოდენსამე აბაზს და დაბრუნებულნი ბინაზე მოლაპარაკობენ სიამით ეზაზე! ამით ფეხსაცმები ვიყიდოთ, ჩულქები და სხვა რამე, მონაგების ფულით სურვა კარგია,„ არა, მეორე ეტყვის:—ხვალ კიდევ წავიდეთ ლოცვაზე და გავამრავლოთ და მერმე პოლსაპოშკებიც ვიყიდოთო„ ამ დროს იმასაც წაიყვებენ და დამთებიან ცარიელნი. იმას ხომ

აღარ ფიქრობენ და არ ახსოვთ, რომ მეფის მომ-ღომნი დაჰკარგვენ მეფობასცა. —

პირველ კვირიაკს დიდი მარხვისა, ქალებისა თჳს არის დიდი სამწუხარო ლოცვის თამაშობის მოუთმენელობით და ამბობენ: «როგორ უნდა მივწიოთ თეოდორობის შაფათამდე! ეს დუმილი მარ-ში არის ლოცვს დროს ეკლესიაში. აქ დეკანოზი ეუბნება: «თავში გამოიღვიძეთ ლოცვის ფიქრი, მარხვა სინანულით გაატარეთ და ღმერთი მოიახ-ლოვეთ!» ჩუმათ ჩაიბუტბუტებენ ქალები: «თავიც გვისმა და ყურიც დაგვიდგა.» შრომის და მეცანიის მაგიერად ერთი მეორეს შესჩივის: 35 ანუ 25 რომ მომსვლოდა მოვიყვანდი ლოცვის.» მეორე ეუბნება, მოითმინე შაფათამდე და სადამომდე დაისვენეთ, ცისკრამდე სულ ვითამაშოთ. მართალია რომ იმ დღიდგან უკანასკნელ კვირამდი არის მათში ისეთი თამაში, როგორათაც სხნილის დღეებში და ეგე აცვარებენ დიდი მარხვს დღეებს. — ქალ-ბატონებო! ნება მიბოძეთ ქალბატონებო, გკითხოთ, რაც ზემოთ დამიწერია გესმით თუ არა? არა, თუნდა გესმოდეთ, მაინც არ გაცუდებით. — მე და ჩვენთა თანამოძმეთაგი ცხადათ ვიცით, რომ მართალია, რასაც მოგახსენებთ.

შემდეგ ამისთანა სიმართლით ფარულობის ლო-

წერისა, მე არ შემიძლიან დაფარვა, ჩუენი ქალე-ბის ნიჭიერებისა, რომელიც იპოვება მათში გასა-მცერებელი. ხშირათ არიან ჩუენ ქალებში მისთანა ნიჭიერნი, რომელთაც კარგი თხზულების დაწერა ვარჯიშით და საამოდ მკითხველთათვის შეუძლიანთ. განა ქალებსკი არა მართებთ ჩუენის ლიტერატუ-რისათვის ზრუნვა — მთელს საქართველოში ერთი მხოლოდ კნ. ბარბარე ჯორჯაძისა გვყავს სამა-გალითოდ და ერთია, მხოლოდ ქალებთაგან ამ პირ-ველს საგანზედ.

ქუთაისის ქალების მშვენიერებაზე ხომ ვერა-რას ვიტყვი, რადგან მათში ბევრნი ისეთნი მშვენი-ერნი არიან, რომ იტყვს კაცი: «ვანგებს მგო-ნია ამათზე მშვენიერი არა შეუქმნიაო.» ყოველი მათი მოქმედება მოსაწონია, უმეტესი ნაწილი, მხოლოდ ეს თამაში არის ეშმაკის მანქანებით დაბუდებული მათში, რომლისა მიზეზით აკლდებიან იგინი წირვას და ლოცვას, სახლის მოვლას, შვილების გაზრდას, ძველი და ახალი ისტო-რიულის ანბების წაკითხვას, ასე რომ თამარ მე-ფის პორტრეტი ყველასა აქვს თავიანთ სახლში, მაგრამ მისი ისტორია ვინ და რა იყო ძვირათ იციან. ქართულ წიგნებს არა კითხულობენ და ეს არ შეესაბამება საწყალ ჩუენ ღარიბ ენას, მაშინ

როდესაც ქალებმა ვეფხვს ტყაოსანი უმეტესი ნაწილი ზეპირად იციან; არიან თვითქმის ქალნიც რამდენიმე რომ ვეფხვის ტყაოსანი არც კი იციან რა არი, თუმცა ამ ისტორიულებას უწოდებენ სახალხო სიმღერას (**НАРОДНАЯ ПОЕМА**) „საანდელს ცისკარს“ რომელიც უფრო ადვილი წასაკითხია და გასაგონი ხომ ბევრნი ყურს არ ათხოვებენ. ორი ფურცლის წაკითხვამდისინ ბეზრდებიან და სცვენ, ისე მიუხედავთ ლოცოზედ. აბა თქუენი ჭირიმე, ლოცოთი ლოთი ქალი, ბევრს დაგიდევს ცისკარს.“ „ჰაი უფალო რეიაკლოო! ასე იცოდეთ რომ ლოცო არის მიზეზი ქალებისაგან ცისკრის გამოუწყრლობისა. იმედი მაქუს ქალებისაგან, წაკითხვისათანავე ამ წერილისა თჳთეული მათგანი მოიქცევა და მიიღებს გულსმოდგინებასამ საგნებზე, რომელნიც ზემო აღნიშნულია და განსაკუთრებით მიაქცევენ ყურადღებას ქართულ წიგნებზე, ძველს და ახალს თხზულებებზე, რომელიც სცხობენ მეფეთა ჩუენთა და ჩუენთაცა მომღინარეობას და იქნება მათში სხვა განსხვავებული საგნებზე და მით დავწყებთ ჩუენ ამაყობას და ენას სიმღერეს მიანიჭებენ, რომლის ნაცვლად დაუწერ მემდეგ სტატიას და რომელშიაც ავუყვავებ მათ.

საყვარელნო ჩემნო თანამემამულენო! ეს

ქალების ზრახვა არა კმარა? დარწმუნდით რომ, ისინი გაგვისწრებენ წინ, თუ რომ ამ თხზულებას თქუენც ყური არ მიუპყარით და ჩუენც პრავე-რანსის თამამობა არ შევამცირეთ, თორემ აი გნა-ხოთ! —

თავ. იმერელი.

2 ნოემბერს 1860 წ.
ქ. ქუთაისით.

---

## რედაქციისაგან.

---

«ცისკრის» რედაქციამ დაკარგა თავის სამწუხა-როდ ერთი თანამშრომელთაგანი. — წარსულის თვის, ესე იგი მარტის 27, გარდაიცვალა სასტიკის სნეულე-ბით, თავადი გრიგოლ მუხრანსკი, რომელიცა იყო დიდად დახელოვნებული ქართულს ენაზედ. — წარსულის წლის ცისკრებში, ხშირად ჰპოვებდა მკითხველი, განსვენებულისგნით ნათარგმნს ბერან-ჟეს ლექსებს. ამასთანავე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ლორსია მენიმკნისა იმის ძვირფასი შრომა, ისტო-რიული დამტკიცება ნამდვილ ყოფნისათვის ქრისტესი ქუეყანასა ზედა — ეს წიგნი დაბეჭდილია ჰეცურ-

ბოლოში ეს მოიცავს ორასამდე ფურცელს. — დიდად დაავალებენ რედაქციას, განსვენებულის ახლო მეგობარნი, რომელთაც აქვთ ეს მოვალეობა, გამოეგზავნათ განსვენებულის ცხოვრების აღწერა, — დასაბეჭდავათ. —

---

## სია, 1861 წლის «ცისკარზედ» ხელის-მომწერთა: (განგრძელება)

---

ქ. ტფილისში.

108, თ. გრიგოლ ორბელიანი.
თ. სჳმონ ფალავანდოვი
მიხეილ ყაზიბეგი.
თომა გრიგორიევი.
თ. ნიკოლოზ ჭავჭავაძე
ბარბარე ტერგუკაზოვისა.
ვახტანგ თულაევი.
მიხეილ ყიფიანი.
ანტონ მამულოვი.
კნ. სალომე ანდრონიკოვისა.
190, კნ. ქეთევან გურგენიძისა.
თ. ალექსანდრე ორბელიანი.
დავით აბალოვი.
თ. კონსტანტინე ფალავანდოვი.
ქაიხოსრო ბორმელოვი.
გიორგი გასპაროვი.
იოსებ მამაცაშვილი.
გაბრიელ წინამძღვაროვი.
ისააკ ივანგულოვი.
თ. ზაალ ბარათოვი.
200, სოლომონ ყორღანოვი.
ივანე მელახოვი.
დავით ცისკაროვი.
პეტრე ბაქრაძე.

თ. რამაზ ანდრონიკოვი.
დიმიტრი მყალობელოვი.

ქუთაისში.

თ. სოლომან წერეთელი.
თ. ლევან გურიელი
კესარია იურკევიჩი.
210, კონსტანტინე ნიჟარაძე.
ივანე ბაინდუროვი.
კნ. ბაგრატიონ დესპინა გურიელისა.
გიორგი ლოლობერიძე.
ლუკა ისარლოვი.
სტეფანე აკოფოვი.
მღვდელი სჳმონ მაქიევი.

გორში.

ივანე სოლისანოვი.
თ. ალექსანდრე ერისთოვი.
თ. [illegible]იზიროვი.

[illegible]ში.

220, დავით ჩიხიკოვი.

პეტერბურღში.

დავით ბაქრაძე.
დიმიტრი მაჭავარიანი.
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.
სოფიო ქერებულოვისა.

თელავში.

თ. იოსებ ჯორჯაძე.
თ. მიხეილ ჯორჯაძე.
თ. გიორგი ჯორჯაძე.
თ. ტატო მაყაევი.
კნ. ლიზა ხოლოყაშვილისა.
კნ. სალომე ავალოვისა.
230, თ. ზურაბ რატიევი.
მიხეილ ყარათმჳოი.

თემირხანშურაში.

თ. ლევან მელიქოვი.
თ. დიმიტრი ყორღანიძე
თ. ნიკოლოოზ ჭა ჭავაძე.
235, პოლკოვნიკი
თ. ჭავჭავაძე.

თბილისი

180 236
21
257